პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 82 (13764) | პარასკევი, 7 აპრილი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲘᲗ

ᲛᲔᲣᲚᲛᲘᲕᲘ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ პარტია მუდმივად ავსებს თავის რიგებს საბჭოთა საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებით, ადამიანის მომზადება პარტიაში შესახალელად, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა რთული პროცესია და იგი ვერ იტანს აჩქარებას, ფორმალიზმს.

პარტიაში მიღება დამოკიდებულია ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის საერთო მდგომარეობაზე. პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მუდმივ აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა და რომლის გავლენა იგრძნობა კოლექტივის მთელ საწარმოო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, აუცილებლად იზიდავს თავის გარშემო უპარტიოებს, ზრდის და ამოწმებს მას პრაქტიკულ სამუშაოზე.

ასეთ ვითარებაში მოწინავე ადამიანები, როგორც წესი, გრძნობენ ორგანულ მოთხოვნას იმუშაონ პარტიის რიგებში და თავისი ბედი დაუკავშირონ მას.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს თავიანთი რიგებისათვის შეგნებული, აქტიური, კომუნიზმის საქმისათვის ერთგული მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შესარჩევად. პარტიის XXII-დან XXIII ყრილობამდე საქართველოს პარტიული ორგანიზაცია 30. 834 კაცით გაიზარდა. პარტიაში მიღებულთა უდიდეს ნაწილს შეადგენენ მუშები და კოლმეურნეები. ე. ი. ისინი, ვინც უშუალოდ არიან დაკავშირებული მატერიალური წარმოების სფეროსთან. ეს კი ცხადყოფს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა სრულყვეს პარტიის ახალი შევსების შერჩევისა და მიღების პრაქტიკა.

რესპუბლიკის ათასობით კომუნისტის შრომა და ცხოვრება სამაგალითოა ასეულ ათასობით უპარტიოსათვის.

პარტიაში მიღებასთან განუყრელად არის დაკავშირებული ახალგაზრდა კომუნისტებთან, პარტიის კანდიდატებთან აღმზრდელობითი მუშაობა. სკკპ წევრებისადმი საწესდებო მოთხოვნები პარტორგანიზაციებს ნათელ წარმოდგენას აძლევს ამ მუშაობაში: „აღზრდონ პარტიის იდეებისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომელებსაც ესმით თავიანთი მაღალი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე, აღზარდონ კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

პარტიის მითითებებმა შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, პარტიის XXIII ყრილობის მიერ სკკპ წესდებაში შეტანილმა ნაწილობრივმა ცვლილებებმა „თითქმასასურველი გავლენა იქონიეს საქმის მდგომარეობაზე. ბევრი პარტიული ორგანო ახლა ფართოდ იყენებს პარტიული რიგების ახალ შევსებაზე ზემოქმედების საშუალებათა მთელ მდიდარ არსენალს, ქმნის ისეთ ვითარებას, რომელშიც. ლენინის განსაზღვრით, საკანდიდატო სტაჟი ნამდვილ ხერხიზულ გამოცდას და არა ცარიელ ფორმალიზმს წარმოადგენს.

პარტიული რიგების ზრდის მდგომარეობა, ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდა პარტიის მხარეძის რაიკომის ყურადღების ცენტრშია. მან მარტო შარშან პარტიაში 100-ზე მეტი კაცი მიიღო. რაიკომი სისტემატურად ისმენს პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიშებსა და ინფორმაციებს, პერიოდულად იწვევს მათ სემინარებზე, აწყობს პარტიის წევრობის კანდიდატთა და ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრებებს, მათს შეხვედრებს ძველ ბოლშევიკებთან. პარტიული ორგანიზაციების სამუშაო გეგმებში შეგხვდებათ სპეციალური განყოფილება — „მუშაობა კანდიდატებთან“, რომელიც ბევრ ღონისძიებას ითვალისწინებს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლები. მათ მეცადინეობებზე ლექციებთა და მოხსენებებით გამოდიან რაიკომის მდივნები, ლექტორები, ძველი ბოლშევიკები. ეწყობა ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში.

ყოველივე ეს მუშაობის ნაცადი და ნასარგებლო ფორმებია, მაგრამ პარტიაში ახალშესულებთან ყოველდღიურ მუშაობაში მთავარი მაინც ადამიანისადმი ინდივიდუალური მიდგომაა.

არის ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი პარტიულ კომიტეტს იშვიათად გააქვს პარტიის ზრდისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საკითხები ბიუროსა და პლენუმის განსახილველად. უფრო მეტი. ეს საკითხები დიდი ხნობით არ შეიქმნ ბიუროებისა და პლენუმების დღის წესრიგში.

არის ისეთი ფაქტებიც, როცა პარტიული კომიტეტები განიხილავენ სკკპ ზრდისა და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საკითხებს, რეგულარულად იღებენ კარგ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ნაკლოვანებანი ნელა სწორდება. ამის მიზეზი ის არის, რომ გადაწყვეტილებებს არ განამტკიცებენ აქტიური ორგანიზატორული მუშაობით, სისტემატური კოსტროლით. ფაქტები იმასაც ცხადყოფენ, რომ ზოგიერთი კომუნისტი, რომელმაც რეკომენდაცია მისცა ადამიანს, არ იჩენს მისი შრომის, სწავლისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიაში ახალშესულ ადამიანს ჯერ კიდევ ვერ აუთვისებია პარტიული ცხოვრების წესები და ნორმები. მას არა აქვს სათანადო პარტიული წრთობა, პარტიული მუშაობის გამოცდილება. აი სწორედ აქ სჭირდება მას პარტორგანიზაციის, უფროსი ამხანაგების, კომუნისტების დახმარება და ზრუნვა.

პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომა პარტიის საწესდებო მოთხოვნაა, პარტიაში შესვლის მსურველს, უწინარეს ყოვლისა, ეკითხებიან საწარმოო მოღვაწეობის შესახებ. ეს მოთხოვნა უნდა გაეზარდოს ადამიანის სკკპ რიგებში მიღების შემდეგ. — მუშაობდი კარგად პარტიაში შესვლამდე, იმუშავი უფრო კარგად კომუნისტად გახდომის შემდეგ, — ასეთი უნდა იყოს დევიზი.

ახალგაზრდა კომუნისტთა პირადი თვისებები ყველაზე უკეთ ყალიბდება და ვლინდება საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროცესში, პარტიული დავალებების შესრულებისას. ამასთან აქაც შეუწყნარებელია შაბლონი. ყველა კანდიდატისადმი ერთნაირი მიდგომა.

ბევრ ადგილას ბრიგადის ბრიგადირი რ. დგებუაძე დემობილიზაციის შემდეგ ენგურჰესში მოვიდა. ტანკისტმა მრავალი სპეციალობა შეისწავლა აქ, ვიდრე ბრიგადირად დაუწინაურებდნენ. რაოდენ სასიხარულო იყო მისთვის ის დღე, როდესაც ნდობა გამოუცხადეს და საქართველოს სსრ დეპუტატად აირჩიეს. მისი ბრიგადა, რომელიც ახლა საიუბილეო ვახტზე დგას, ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) სამუშაოთა მთავარი მწარმოებელი თ. თოდუა, გამყვანი გ. გაგნიძე, ბრიგადირი რ. დგებუაძე და ელექტროშეინჯალი ვ. დვალიანი საუბრობენ სამუშაოზე გასვლის წინ.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲢᲕᲘᲠᲗᲐᲕᲘ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ელექტromექანიკური ქარხნის კოლექტივმა საიუბილეო შრომითს ვახტზე კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოიპოვა. ამ დღეებში დაიწყო სრულიად ახალი პროდუქციის — „ეკ-501“ ტიპის 5 ტონის ტვირთამწეობის ელექტრომტვირთავის სერიული გამოშვება.

ამ ტიპის მტვირთავი პირველია ჩვენს ქვეყანაში. იგი არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ავტომტვირთავისგან, რომელიც შიდაწვის ძრავზე მუშაობს. ამასთან ნაკლებად მანკიერია. ახალი ელექტრომტვირთავი აკუმულატორული ბატარეებით მუშაობს და შეუძლია 180 გრადუსით შემობრუნდეს, აღჭურვილია მიდროგამძლიერებლით, რის გამო მისი მართვა ადვილია.

ახალ ელექტრომტვირთავებზე, რომლებსაც ფართო გამოყენება ექნებათ ნავსადგურებში, მეტალურგიულ, მანქანათსამშენებლო ქარხნებსა და სხვა საწარმოებში, უკვე ახლა დიდი მოთხოვნილებაა. ელექტრომტვირთავების პირველი პარტია იგზავნება მოსკოვში, კუიბიშევსა და სვერდლოვსკში.

ელექტრომტვირთავის საცდელი ნიმუშის დამზადებაზე, რომელიც ჯერ კიდევ შარშან გამოსცადეს, აგრეთვე მის ნაბრძოლ წარმოებაზე განსაკუთრებით გამოირჩინა თავი ამწყობ-ზენინკალთა ვ. ბაწილისეიშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადამ.

ახალი მანქანის წარმოების ათვისებას დიდი შრომა მოახმარეს ელექტromანქანების, ამწყობ-მექანიკური და დამამზადებელი საამქროების (უფროსები ვ. ცომაია, ალ. გოგისვანიძე და გ. ბარბაქაძე) კოლექტივებმა.

მიმდინარე წელს მეორე კვარტალდან ქარხნის კოლექტივი დაიწყებს კიდევ ერთი ახალი პროდუქციის — ნავთობის მრეწველობისათვის სპეირმ მძლავრი ჩასაყვანი ელექტროცენტრალიზებული ტუმბოების გამოშვებას.

შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სკკ. კორ.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „ვტორჩერმეტის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს კოლექტივმა, რომელიც ებრძვის დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, 1967 წლის პირველი კვარტალი ახალი შრომითი მიღწევებით დაამთავრა.

1967 წლის I-კვარტალის მეორადი შავი ლითონების დამზადების გეგმა 108,7 პროცენტით შესრულდა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55.661 ტონისა ფაქტიურად დამზადებულია 60.512 ტონა მეორადი შავი ლითონები.

მეორადი შავი ლითონების დამზადების და გადამუშავების გეგმის წარმატებით შესრულებამ საშუალება მისცა სამმართველოს კოლექტივს უზრუნველეყო ქარხანა-მომხმარებლები, რომლებსაც ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 54.260 ტონისა გაეგზავნათ 59.143 ტონა ლითონი.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებამ სამმართველოს კოლექტივს ხელი შეუწყო მიეღო 43.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება. ეს რედაქციას აცნობა „ვტორჩერმეტის“ საქართველოს სამმართველოს უფროსმა ა. ქვარცხავამ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲒᲐᲜᲘᲗᲐ ᲖᲕᲠᲔᲑᲖᲔ

მაიაკოვსკი, (საკ. კორ.). რაიონის მევენახეებმა შარშან 9.540 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, გეგმა კი 8.180 ტონას ითვალისწინებდა. მაიაკოვსკელებს გადაწყვეტილი აქვთ საიუბილეო წელს სახელმწიფოს სულ მცირე 10 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდონ.

მევენახეები მტკიცედ დგანან პირობაზე. 1352 ჰექტარ ვენახებში დროულად დაამთავრეს რიგთაშორისების ხვნა, ვაზის ძირების შემობარვა და გასხვლა. მთელ ფართობზე შეტანილია სასუქები. დამზადებულია გეგმით გათვალისწინებული 750 ათასი ცალი ჰიგროშპალერზე დამატებით გადაიყვანეს 10 ჰექტარი ვენახი.

ამ გაზაფხულზე აქაური მევენახეები დაამყნიან და სანერგეში გადაიტანენ მილიონ 300 ათას ცალ ნამყნს, რისთვისაც უკვე მოამზადეს დაალანტაყებული ნიადაგი. წელს ახლადმოწყობილ საკოლმეურნეო-ბათაშორისო ვაზის სანერგეში 800 ათას ცალ ნერგს გამოიყვანენ.

მაიაკოვსკელებმა გეგმით გათვალისწინებული 300 ათასი ცალის ნაცვლად დაამზადეს და ბულგარელ მევენახეებს გაუგზავნეს 317 ათასი ცალი ცოლიკაურის ჯიშის საკვირტე მასალა.

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲚᲗᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საიუბილეო წლის პირველი კვარტალი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა სამგორის მეფრინველეობის სამმართველოს კოლექტივმა. გეგმით გათვალისწინებული 13 მილიონი ცალი კვერცხის ნაცვლად მეფრინველეობის ფაბრიკებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და საინკუბატორო საგაურებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 13 მილიონ 348 ათასი ცალი კვერცხი, ანუ დაკვლება შესრულდა 102,7 პროცენტით; ჩაბარებულია 453 ტონა ხორცი ნაცვლად 200 ტონისა, რაც გეგმის 226 პროცენტს შეადგენს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა: კვერცხი — 1 მილიონ 187 ათასი ცალით, ხოლო ხორცი — 73 ტონით მეტი. ეს „კომუნისტს“ რედაქციას აცნობა მეფრინველეობის სამმართველოს უფროსმა ბ. კოზიროვმა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

მწერალ კ. რ. კალაძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდა წლისთავთან დაკავშირებით მწერალი კარლო რაზდორნის-ძე კალაძე დაჯილდოდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1967 წ. 6 აპრილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲕᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ — ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

6 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას „საქართველოს ავიატორები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისთვის“. პრეს-კონფერენცია მოიწვიეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ქოლიტგანყოფილებამ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის განყოფილების ბიურომ.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის განყოფილების ბიუროს თავმჯდომარემ, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორმა ნ. ჯაშმა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა ვ. ნანეიშვილმა ჟურნალისტებს გააცნო სამოქალაქო ავიაციის განვითარების პერსპექტივები. ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულია სამოქალაქო ავიაციამ გადაიყვანოს მილიონნახევარი მგზავრი, გადაზიდოს 10 ათას ტონაზე მეტი ტვირთი. გაიხსნება ახალი საჰაერო ტრასები.

დიდი მოცულობის სამუშაოები მოელით სახოფლო-სამეურნეო ავიაციის მუშაკებს.

ბევრი რამ ხორციელდება მგზავრთა მომსახურების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებზე. (საქდესი).

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲒᲐ ᲯᲘᲒᲣᲢᲨᲘ

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესი). პოლიციამ დღეს დილით 4 კაცი დახოცა ფრანგ სამხედრო ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებულ აფრიკელთა მასობრივი გაქცევის მოწყობის ცდისათვის. ეს პატიმრები იმყოფებოდნენ ჯიბუტის მიდამოებში არსებულ ბანაკში.

როგორც საფრანგეთის სომალის ადმინისტრაციული ცენტრიდან იუწყებიან, ჯიბუტის აფრიკელთა უბნის „ჩხრეკის“ ოპერაციებს შედეგად, რომლებიც საფრანგეთის არმიამ და პოლიციამ მოაწყეს, ამ ბანაკში მოათავსეს სამი ათასამდე აფრიკელი, მათ შორის ქალები და ბავშვები, ძირითადად სომალი ეროვნებისა. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალნი აპირებენ პატიმართა დიდი ნაწილი გადასახლონ სომალის ფარგლებს გარეთ.

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲒᲐ ᲯᲘᲒᲣᲢᲨᲘ

პარიზი, 6 აპრილი. (საკდესი). პოლიციამ დღეს დილით 4 კაცი დახოცა ფრანგ სამხედრო ხელისუფალთა მიერ დაპატიმრებულ აფრიკელთა მასობრივი გაქცევის მოწყობის ცდისათვის. ეს პატიმრები იმყოფებოდნენ ჯიბუტის მიდამოებში არსებულ ბანაკში.

როგორც საფრანგეთის სომალის ადმინისტრაციული ცენტრიდან იუწყებიან, ჯიბუტის აფრიკელთა უბნის „ჩხრეკის“ ოპერაციებს შედეგად, რომლებიც საფრანგეთის არმიამ და პოლიციამ მოაწყეს, ამ ბანაკში მოათავსეს სამი ათასამდე აფრიკელი, მათ შორის ქალები და ბავშვები, ძირითადად სომალი ეროვნებისა. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალნი აპირებენ პატიმართა დიდი ნაწილი გადასახლონ სომალის ფარგლებს გარეთ.

ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲒᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 19 წლისთავს მიეძღვნა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც 5 აპრილს გამართეს მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების კავშირსა და „სსრ კავშირ-ფინეთის“ საზოგადოებამ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების დელეგაციის წევრები და მეგობარი ხალხის სხვა წარმომადგენლები.

მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა „სსრ კავშირ-ფინეთის“ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ა. ი. მარკუშევიჩმა. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ლ. ორლოვმა თავის მოხსენებაში დაწვრილებით გააანალიზა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარება.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ჩიტა, 5 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს გამოირკვა, რომ დამყარდა მთის გვირაბების ჩჭაროსნული გაყვანის ახალი რეკორდი. „ბალეიზოლოტის“ კომბინატის № 11 შახტის ვიქტორ ბიკოვის ბრიგადამ 31 დღეში გაიყვანა 367 გრძივი მეტრი გვირაბი.

ამით რეკორდი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ყიზილყუმის მურუნტაუს ოქრულ საბადოში თევდორე ლუკიანოვის ბრიგადამ დაამყარა, გადაჭარბებულია. უფროესობის ამ ბრიგადამ 30 დღეში გაიყვანა 341 გრძივი მეტრი გვირაბი.

ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ

ლომონოსოვის პრემიები მიენიჭათ 1965 წელს შექმნილ სამ სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს.

ლომონოსოვის პრემიების კომიტეტმა აკადემიკოს ბ. კედროვის თავმჯდომარეობით საუკეთესო ფილმად ცნო სრულმეტრაჟიანი ფერადი კინოფილმი „სიცოცხლის მიჯნაზე“, რომელიც კიევის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიამ შექმნა. ამ ფილმს მიენიჭა მეორე ხარისხის პრემია. პირველი პრემია კომიტეტს არც ერთი ფილმისათვის არ მიუნიჭებია.

ორი მესამე პრემია შენიშნეთ: მოკლემეტრაჟიანი ფერადი ფილმს „ნამყარო კაპილარებში“ (ლენინგრადის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდია), აგრეთვე სრულმეტრაჟიან ფერად ფილმს „ადამიანი და ატომი“, რომელიც მოსკოვის სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმების სტუდიამ შექმნა. (საკდესი).

ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ

6 აპრილს მოსკოვში გაიხსნა ფერადი მეტალურგიის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირის მონაწილენი ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს, თუ როგორ შეასრულონ უკეთ და უფრო სწრაფად საიუბილეო წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. თათბირზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრმა პ. ფ. ლომაკინმ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმწრფის თავმჯდომარე ი. ტ. ნოვიკოვი.

ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ საინტერნო-სამშენებლო ინსტიტუტის პროგრამირებული სწავლებისა და მასწავლებელთა მანქანების სამეცნიერო-საკვლევლაბორატორიაში შეიქმნა სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისა და სწავლების ახალი კიბერნეტიკული მანქანა „კისი-5“.

ახალი კიბერნეტიკული მანქანა არსებითად განსხვავდება წინათ შექმნილი ანალოგებისაგან. ამ მანქანის რეკომენდაციაა: კონტროლი, სწავლება, წვრთნა, თვითშემოწმება.

„კისი-5“ გაიგზავნა მონრეალის საერთაშორისო გამოფენაზე „ექსპო-67“ (საკდესის კორ.).

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ

ბუენოს-აირესი, 6 აპრილი. (საკდესი). არგენტინის „პროფკავშირთა ერთობისა და მოქმედების კოორდინაციისათვის მოძრაობა“ მწერვალად მიესალმება საბჭოთა მშრომელებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

„დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, — ნათქვამია „პროფკავშირთა ერთობისა და მოქმედების კოორდინაციისათვის მოძრაობის“ განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, — ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და დაიწყო კაცობრობის ისტორიის ახალი ერა — სოციალიზმის ერა. ოქტომბრის რევოლუციამ პირველად დაადგინა ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასი და განახორციელა ის, იდეები და პროგრამები, რომლებიც საერთაშორისო პროლეტარიატის ოცნება იყო“.

განცხადებაში ხაზგასმულია საბჭოთა მშრომელების უდიდესი მიღწევანი ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗ-ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

სოფია, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს ხელი მოაწერეს ბულგარეთ-პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას 20 წლის ვადით.

ბულგარეთის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა, პოლონეთის მხრივ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა.

ხელის მოწერის ცერემონიას დაესწრო ბულგარეთისა და პოლონეთის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების წევრები, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები და ბულგარეთის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ვლადისლავ გომულკამ და ტოდორ ჟივკოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ქალაქის ათასობით მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა აქ გამართულ სავაზაფხულო მარშში მშვიდობისათვის. ისინი გამოვიდნენ, რათა პროტესტი განეცხადებინათ ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ და დაეგმოთ საგანგებო კანონები, რომლებსაც ბონი ამზადებს. „ამერიკელებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!“ — მანიფესტაციის მონაწილეთა ასეთი შეძახილები გაისმოდა ქუჩებში და მოედნებზე. მარში დამთავრდა მიტინგით, რომლის დროსაც ორატორებმა მოითხოვეს განხორციელდეს ევროპაში უატომო ზონის შექმნის გეგმები და დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. სურათზე: მიტინგი.

ფოტო კ. ნაციხისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲖᲦᲕᲘᲡ ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲥᲯᲘᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ვაშინგტონი, 6 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 ფლოტმა გააქტივა ოქმედება ს ა მ ხ რ ე თ - ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ა ზ ი ის ნაპირებთან, ნათქვამია ხენატის სახელმწიფო მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიის მოხსენებაში.

მე-7 ფლოტთან, აღნიშნულია მოხსენებაში, ამას წინათ შეიქმნა ორი დამატებითი სამხედრო დაჯგუფება. პირველი, ახალი სამხედრო გემებით გაძლიერებული ჯგუფი განკუთვნილია ვიეტნამის სანაპირო ზონის მუდმივი პატრულობისათვის, მეორე — მდინარე მეკონგის დელტაში სამხრეთვიეტნამელ პატიოსანთა ნინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედებისათვის.

ᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲓᲔᲜᲨᲘ

სანა, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ შეიხ ოსმანში (ადენის რაიონი) ინგლისის შინაგანი უშიშროების ჯარები გაფორებულ სროლას აწარმოებდნენ ადენის პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან სამხრეთ არაბეთის გათავისუფლებისათვის უცხოელთა ბატონობისაგან.

აქ მიღებული ცნობებით, გაერთიანებული ეროვნის ორგანიზაციის მისიამ, რომელიც ეცნობოდა მდგომარეობას ინგლისის ამ პროტექტორატში, დაათვალიერა საკონცენტრაციო ბანაკი მანსურში (ადენის რაიონი), სადაც ისზე მეტი პოლიტიკური პატიმარია. როცა მისიის წევრები ბანაკს ათვალიერებდნენ, პატრიოტები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ინგლისის ჯარებს უშუალოდ ბანაკის ახლოს. რამდენიმე ინგლისელი ჯარისკაცი დაჭრილია.

ადენის „ჯანყებულებმა ნაღმსატყორცნი დაუშინეს ინგლისელ ჯარებს სამხრეთ არაბეთის მარიონეტული ფედერაციის ფედერალური გვარდიის ყაზარმებს. დანაკლისი გაურკვეველია.

„ოკუპირებული სამხრეთ იემენის განთავისუფლების ფრონტმა“ სამხრეთ არაბეთის მოსახლეობას მოუწოდა გაიფარფოროს ინგლისის ჯარებისა და მათი ადენელი მარიონეტების წინააღმდეგ მოქმედების მასშტაბი.

ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲙᲕᲐᲜᲢᲘᲤᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ლონდონი, 6 აპრილი. (საკდესი). პორტუგალიამ გამოიკოყო კიდევ 1.100 მილიონი ესკუდო (13.750 ათასი გირვანქა სტერლინგი) იმ რეკორდული თანხის დამატებით, რომელიც განზრახული აქვს დახარჯოს 1967 წელს თავისი ზღვისგაღმა ტერიტორიების „თავდაცვისათვის“.

5.347 მილიონი ესკუდო (66.837 ათასი გირვანქა სტერლინგი), რაც უკვე ასიგნებულია ამ მიზნებისათვის, ერთიორად და მეტად აღემატება 1961 წლის ხარჯებს.

ᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲓᲔᲜᲨᲘ

სანა, 6 აპრილი. (საკდესი). გუშინ შეიხ ოსმანში (ადენის რაიონი) ინგლისის შინაგანი უშიშროების ჯარები გაფორებულ სროლას აწარმოებდნენ ადენის პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან სამხრეთ არაბეთის გათავისუფლებისათვის უცხოელთა ბატონობისაგან.

აქ მიღებული ცნობებით, გაერთიანებული ეროვნის ორგანიზაციის მისიამ, რომელიც ეცნობოდა მდგომარეობას ინგლისის ამ პროტექტორატში, დაათვალიერა საკონცენტრაციო ბანაკი მანსურში (ადენის რაიონი), სადაც ისზე მეტი პოლიტიკური პატიმარია. როცა მისიის წევრები ბანაკს ათვალიერებდნენ, პატრიოტები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ინგლისის ჯარებს უშუალოდ ბანაკის ახლოს. რამდენიმე

ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მრიოდე წლის წინათ აბაშის რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობა ეკონომიურად ჩამორჩებოდა და ვერ ასრულებდა საოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებებს. სიმაღლის წარმოება საშუალოდ ჰექტარზე 5-6 ცენტნერამდე დავიდა. და ამაში ბრალი მარ- მეურნეობათა ცუდ ტექნიკურ აღჭურვილობას, შუმაკთა მატერიალურ დაუნტერესებლობას როდი მიუძღოდა. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა ერთ ნაწილს არ ეყოფოვებოდა საქმის გაძღოლისათვის საჭიროდ ცოდნა და გამოცდილება. ისინი ნაკლებ ასრულებენ ბრძანებლებს ერძმობდნენ და გამომუშავებული არ ჰქონდათ მინდობილი საქმის ინიციატივა და სხვებისადმი.

ადრე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა სოფლის მეურნეობაში კვალიფიციური კადრების აყალიბებას. ამის მაგალითად ისიც ეყრდნობა, რომ 1964 წელს რაიონის კოლმეურნეობათა ბრიგადირთაგან 153 ბრიგადირიდან სპეციალური განათლება მხოლოდ 21-ს ჰქონდა. მეცხოველეობის ფერმებში მუშაობდა მხოლოდ 5 სპეციალისტი. საწარდენ სპეციალური განათლების, გამოცდილებისა და უნარის არქონე, ბევრი მუშაკი არტელის ხელმძღვანელის თანამდებობაზეც აღმოჩნდა.

ადლისათვის რაიონის 22 კოლმეურნეობის ბიუროდან 11-ს უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს.

ასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას ხელი შეუშლიანი, დაინტერესებული აგროზოოვეტსპეციალისტების სამუშაოდ განაწილებამ. კოლმეურნეობებსა და სამეურნეობებში 100-ზე მეტი აგროზოოვეტსპეციალისტი მუშაობს, ისინი ენერგიულად იბრძვიან წარმოების მაღალი კულტურისათვის. შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და კოლმეურნეთა საჭირო ცოდნით შეიარაღებისათვის

ეკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუჯობესდა პარტიული კადრების აღზრდისა და შერჩევის საქმე. ეს განსაკუთრებით ითქმის ადგილადი პარტიული ორგანიზაციების ოვლების თვისებრივ შემადგენლობაზე. პარტორგანიზაციების მდივნების 40 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო ბევრმა მათგანი საშუალო სპეციალური განათლებით არის.

როცა საქმე პარტიული კადრების შერჩევებება, ყურადღებას მარტო განათლებას ადი ეკუთვნა, არამედ ვითვალისწინებთ ადამიანთა პრაქტიკულ გამოცდილებას, მათს ანზაციტორულ ნიჭს.

ᲛᲔᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲖᲔ

ᲣᲙᲕᲔ მიგაღწიეთ ამლებულად მუშაობას ბორგელ დადები საგულისხმო შედეგებს როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში, რაიონის სამრეწველო საწარმოებმა შარშან ერთიერად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება წინა წელთან შედარებით. ამავე პერიოდში 2,3 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

გასულ წელს თავდადებით იშრომეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმაც. წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გადიდდა ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მიუხედავად ამისა, ეს არახელსაყრელი პირობებისა რაიონში წარმოებულ იქნა 56.169 ცენტნერი სიმინდი, 13.202 ცენტნერი რძე (1927 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული). საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა გეგმით გათვალისწინებული 777-დან 936 კილოგრამამდე გადიდდა. მეცხოველეობაში შარშან მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის ამაშენებს რესპუბლიკის მეორე ჯგუფის რაიონებს შორის გადაეცა საკრთველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა.

ᲛᲔᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲖᲔ

განსაკუთრებით ისახელეს თავი მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა. მრუნველი ადამიანები გაასარა ეთერზეთოვანმა კულტურებმაც — გერანმა და რეპანმა. ეთერზეთის ქარხანას ჩაბარდა 1.147 ტონა სურნელოვანი ნედეული. გადამეტებით შესრულდა ბოსტნეულისა და ხილის დამზადების გეგმები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებამ და პროდუქტების შესასყიდი ფასების ზრდამ კოლმეურნეობებს საშუალება მისცა 1966 წელს 1964 წელთან შედარებით ფულადი შემოსავალი გაედიდებინათ 270 პროცენტით. განემტკიცებინათ განუყოფელი ფონდები. ამის შედეგად ბევრი არტელი საგრძნობლად მომძლავრდა. სოფელ ძველი აბაშის ძერკინსკის სახელობის, კეთილარისა და სუჯუნის ორჯონიკიძის სასელობის კოლმეურნეობები სულ რამდენიმე წლის წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებად ითვლებოდნენ, ახლა კი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას. აღმავლობის გზას დაადგნენ მარნისა და ნაესაკოფოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. და ეს იმის შედეგად, რომ მათი თავმჯდომარეები ი. ნინუა და მ. კუჭუხიძე ღრმად იხედებიან არტელის ეკონომიკაში, ეძებენ ახალ რეზერვებს, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფენ კოლმეურნეებზე შრომის გარანტირებული ანაზღაურების გაცემას.

მიღწეული წარმატებები გვახარებს, მაგრამ ვერ გვაკმაყოფილებს. ამიტომ ჩვენს მთავარ ამოცანად ვთვლით მოპოვებული მიღწევების შენარჩუნებასა და გამრავლებას.

როგორ შევძლებთ ამას? — ამ კითხვაზე პასუხს მატერიალური დოვლათის შემქმნელი ადამიანებისადმი შეუნელებელ ზრუნვაში ვპოულობთ. მთელი გულისყურით ვეკიდებით კადრების სწავლებას, იდეურ-პოლიტიკურ წრთობას. ამ მიზნით მოეწყო სამეურნეო კადრების ეკონომიური სწავლება, პარტ-ის რაიკომთან შეიქმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სკოლა, სისტემატურად ეწყობა თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, სემინარები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. ეს ზრდის ძირეული კადრების პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი.

რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების არაერთი ნიჭიერი და უნარიანი ხელმძღვანელი აღიზარდა. მათ შორის არიან სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის, ძველი აბაშის ძერკინსკის სახელობის, ტყვირისა და კეფილარის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ა. კუკავა, შ. ქოიავა, ს. სანიკიძე, ვ. ესაკია, სუჯუნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი თ. თელია, სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის ბრიგადირი ჯ. სარგბავა, სუჯუნის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე ბ. ჭანტურია და სხვები.

ᲛᲔᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲐᲐ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ

ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲘᲡᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲐᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲜᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ᲛᲔᲠᲘᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲜᲐᲤᲐᲮᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ

ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲝᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲐ. ᲨᲔᲠᲐᲒᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲨᲔᲣᲠᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲘᲚᲘᲡᲣᲚ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲝᲚᲙᲝᲛᲑᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲦᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲘ ᲐᲠᲢᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

საერთაშორისო სხივვანა

მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით

ბუქარესტი, 5 აპრილი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე იმის შესახებ, რომ იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლონგო ვიზიტად იყო რუმინეთში რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბოიანი ბელჩეკი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბელგარანოვი. პოლონეთის მხრივ —პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იუზეფ ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზენონ კლიშკო.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო ოუწყება, შეხვედრაზე, რომელმაც უაღრესი გულითადობისა და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, განხილეს ორი მოძმე პარტიის ურთიერთობის საკითხები და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალური პრობლემები.

აღინიშნა, რომ ორივე პარტია ერთნაირი შეხედულებისაა განხილულ საკითხებზე.

მთავრობამ ფიცი დადო

ჰაბაბ, 6 აპრილი (საკდესი). დღეს ჰოლანდიის ახალმა კოალიციურმა მთავრობამ ფიცი დადო, ახალი მთავრობა შექმნა ჰ. დე ოინგმა ოთხი პარტიის წარმომადგენლებისაგან.

ამით დამთავრდა ჰოლანდიის მთავრობის კრიზისი, რომელმაც შვიდ კვირას გასტანა.

ხო ში მინის მიმართვა

იტალიელი ხალხისადმი

რომი, 5 აპრილი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა იტალიელ ხალხს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაამარცხოს აგრესორები და მადლობას უხდის იტალიელ ხალხს სოლიდარობისა და მხარდაჭერისათვის. ხო ში მინმა მიმართვა გამოატანა იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ლ. ბასსს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტელეგრაფცემა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა მნიშვნელოვანი ნაწილი სატელევიზიო პროგრამისა, რომელიც გუშინ გადასცა ნიუ-იორკის საკალაქო სადგურმა. ამერიკელ და უცხოელ კორესპონდენტთა შეკითხვებს უპასუხებდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო.

სოციალიზმისა და კომუნიზმის შშენებლობა საბჭოთა კავშირში, ხაზგასმით აღნიშნა მან, მსოფლიო რევოლუციური პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, მისი მაგალითი და ავტორიტეტი, მისი აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე, რაც სოციალიზმის იდეალებს ემსახურება, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო პრობლემათა გადასაჭრელად ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნა ნ. ტ. ფედორენკომ, დაწყებული ზავის შესახებ ლენინური დეკრეტიდან, ახორციელებს საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხთა შორის ურთიერთობის ახალი პრინციპები — თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

საბჭოთა ხელოვნების გამოფენაზე ტუნისში წარმოდგენილია სკულპტურის, ფერწერისა და გრაფიკის 80-მდე თანამედროვე ნაწარმოები „ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან. დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო გამოფენა მოწყობილია კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ტუნისის შეთანხმების შესაბამისად.

ტუნისის დედაქალაქში ექსპოზიციის შემდეგ გამოფენა ნაწილებად იქნება ქალაქებში სუსსა და სფაქსში.

სურათზე: დამთვალიერებლები სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ნიკოლოზ ანდრეევის ბრინჯაოს ქანდაკებასთან „ლენინი ტრიბუნაზე“.

ხაკდესის ფოტოქრონიკა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

საგზოთა კავშირში მყოფი ბელგიის ავიაკომპანია „საბენის“ მოდამავი წარმომადგენელი ტუაე ლუსიენი უცხოელი წარმომადგენლისათვის კრძალულ საქმიანობასა და მტრულ მუშაობას ეწეოდა, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირში უცხოელ მოქალაქეთა ქცევის ნორმებს.

6 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბელგიის მოსკოვის საელჩოს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტუაე ლუსიენის დარჩენა სასურველი აღარ არის.

ARAADAMIANURI OMIS წინააღმდეგ

კელსინკი. მთელ ფინეთზე გადის მშვიდობის ესტაფეტის მარშრუტი. ესტაფეტის მონაწილენი გამოეშურებიან საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი მოივლიან ბალტიის ზღვის სამხრეთი სანაპიროს ქალაქებს. ესტაფეტის ლოზუნგია კაცობრიობის ორი საჭირბოროტო პრობლემა: ომის შეწყვეტა ვიეტნამში და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა.

ამავე პრობლემებს იხილავდნენ ფინეთის მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციის ყოველწლიურ კრებაზე, რომელიც ჰელსინკში გაიმართა. მიღებულ რეზოლუციაში ფინელი მშვიდობისმომხრენი ამერიკელებისაგან მოითხოვენ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დბომბვა და გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

რომი. იტალიის დედაქალაქში მოეწყო ფოტოგამოფენები, რომლებიც ასახავენ ამერიკის მხედრიონის დანაშაულობებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მიმდინარეობს დემონსტრაციები, მიტინგები, კრებები, რომელთა მონაწილენი მკაცრად გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას. ხელს აწერენ იტალიის პარლამენტისათვის გასაგზავნ მიმართვას, რომლითაც იტალიის მთავრობისაგან მოითხოვენ გაემიჯნოს ამერიკის საკვიტნამო პოლიტიკას.

ტოკიო. ასზე მეტმა იაპონელმა სწავლულმა აგრონომმა მოაწყო ტოკიოს უნივერსიტეტში საპროტესტო მიტინგი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელები ძლიერმოქმედი შხამქიმიკატებით სპობენ ბრინჯისა და სხვა კულტურების ნათესებს ვიეტნამში. მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ ამერიკელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და უარი თქვან ომის წარმოების არაადამიანურ მეთოდებზე.

ნიუ-იორკი. სამოქალაქო უფლებებისათვის ზანგთა მოძრაობის ლიდერმა მარტინ ლუთერ კინგმა ახალგაზრდა ამერიკელებს მოუწოდა უარი თქვან სამხედრო ვალდებულების შესრულებასა და ვიეტნამის სამარცხვინო ომში მონაწილეობაზე.

ნიუ-იორკის რიგერსაიდის ეკლესიაში შეკრებილმა სამი ათასმა კაცმა არაერთხელ შეაწყვეტინა მქუხარე ტაშით კინგს ეს უჩვეულო ქადაგება. თითოეულმა, ვისაც სინდისის ნატამალი გააჩნია, თქვა მან, უნდა მიიღოს მონაწილეობა საპროტესტო გამოსვლებში ამ სამარცხვინო ომის წინააღმდეგ, რომელსაც სიკვდილი და ნგრევა მოაქვს ვიეტნამელი ხალხისათვის.

კინგმა ამერიკის საკვიტნამო პოლიტიკას უწოდა კოლონიალიზმის „ყველაზე მახინჯი გამოვლინება. ამერიკის მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, მთლიანად უნდა შეწყვიტოს ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის დბომბვა, გამოაცხადოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დაადგინოს ვიეტნამიდან მთელი ჯარების გაყვანის თარიღი. „დგება დრო, — თქვა მან, — როცა დუმილი დალატია. ახლა ეს დრო დადგა ვიეტნამის საკითხის გამო“.

დელი. „შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის უთუოდ და დაუყოვნებლივ შეწყვეტა ვიეტნამში მშვიდობის აღდგენის აუცილებელი წინაპირობაა, — ნათქვამია ვიეტნამის გამო გამოტანილ რეზოლუციაში, რომელიც მიიღეს სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოსა და აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის სრულიად ინდოეთის ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ მხოლოდ ვიეტნამის ომის წინააღმდეგ საყოველთაო მოძრაობის გაძლიერებას შეუძლია შეაწყვეტინოს შეერთებულ შტატებს დაბომბვა და დააწყებინოს მოლაპარაკება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან. (საკდესი).

დაგვიანებული მოთხოვნა

ტოკიო, 6 აპრილი. (საკდესი). იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობას მოსთხოვა აუკრძალოს მის მიერ დაქირავებულ თვითმფრინავებს ტოკიოს „ხანედის“ საერთაშორისო აეროპორტი გამოიყენონ იმ საათებში, როცა ყველაზე მეტად არის დატვირთული. ეს მოთხოვნა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის მხარეს წარუდგინა ტრანსპორტის სამინისტროს წინადადებით, რომელიც შეშფოთებულია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მიერ სამხრეთ ვიეტნამში, სამხრეთ კორეასა და ოკინავაზე ჯარისკაცების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის დაქირავებული სატრანსპორტო თვითმფრინავების რეისების გაზრდილი რაოდენობა ხელს უშლის სამოქალაქო ავიახაზების მოძრაობას.

ყოველთვიურად „ხანედის“ აეროდრომზე ჯდება დაახლოებით 300 ასეთი თვითმფრინავი. როგორც იაპონიის პრესა წერს, ამა წლის მარტო პირველი ორი თვის მანძილზე „ამერიკის კომპანია „ნორტ უესტმა“ ტოკიოში შეჩერებით გადაიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 18 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. სულ კი ამერიკის შეერთებული შტატების არმიას ამ მიზნით დაქირავებული აქვს თითქმის 10 ავიაკომპანიის თვითმფრინავები.

ახალი ორლეანის სასამართლოში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). კომპანია „ინტერნეშნლ ტრეიდ მარტის“ ყოფილი დირექტორი კლეი შოუ დღეს ოფიციალურად მისცეს სამართალში იმ ბრალდებით, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო პრეზიდენტ ჯონ კენედის მოკვლა. სასამართლო დევნა შოუს წინააღმდეგ აღძრეს ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჯიმ ჰარისონმა და ახალი ორლეანის დიდმა ჟიურიმ.

დღეს სასამართლოს სხდომა ხანმოკლე იყო. კლეი შოუმ განაცხადა, რომ დამნაშავე არ არის.

როგორც პრესა ვარაუდობს, თვით სასამართლო პროცესი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყება, თუმცა შოუს დაცვა ცდილობს დააჩქაროს პროცესი იმის იმედით, რომ ჰარისონი ვერ მოასწრებს დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების მოგროვებას.

იმ გამოძიების დასაფინანსებლად, რომელსაც ჰარისონი აწარმოებს, ახალორლეანში შეიქმნა კომიტეტი „სიმართლე და შედეგები“. კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა — ნავთობმრეწველმა ჯოზეფ როლტმა 4 აპრილს მეხიკო-სიტიში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ვაშინგტონი და სხვა „მეტად მძლავრი წრეები“ ცდილობენ ხელი შეუშალონ გამოძიებას და დაფარონ სიმართლე პრეზიდენტ კენედის მკვლელობის ნამდვილ გარემოებათა და ორგანიზატორთა შესახებ.



ბეირუთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მის ისტორიას ამსოვს ფინიკიის სახელმწიფოს აყვავება, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობანი, რომის იმპერიის ბატონობა. არქეოლოგები თუ ჩვეულებრივი მშენებლები დღემდე პოულობენ ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ძველი კულტურის ნაშთებს. ამას წინათ, როცა თხრიდნენ ქვაბულებს ახალი თანამედროვე შენობებისათვის, რომლებიც ლიბანის დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებში ძველი შენობების ადგილზე შეხდა, აღმოაჩინეს რომის იმპერიის დროინდელი ნაგებობანი.

სურათზე: ბაბ-იდრისის ჭიჩაზე (ქალაქის ცენტრალური სავაჭრო რაიონი) მიწის სამუშაოების დროს მშენებლები წააწყდნენ ქალაქის ნაწილს კარგად შემონახულ ნაშთებს, რომლებიც განეკუთვნება II-III საუკუნეებს (რომის იმპერია). აქ შეიძლება ნახოთ სვეტი ლამაზი კაპიტელით, ქვაფენილის ნაშთები, სახლებისა და სხვა შენობების კედლები.

ფოტო ჰ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ეკონომიკური ბანკრაბა ინგლისში

ლონდონი, 6 აპრილი. (საკდესი). ინგლისის ეკონომიკური ბანკრაბა ინგლისში ოფიციალურ ხასიათს ატარებს. ინგლისის ბანკმა ამ ბოლო დროს ოფიციალურ ანგარიშებში ინგლისის ეროვნული ფინანსური მდგომარეობა ასეთ ფერებში ასახა, —

შუახეველთა მადლობა

გუშინ ტურისტულ-თეატრალური მატარებელი „შოთა რუსთაველი“ ბათუმიდან ჩამოვიდა. მატარებლით დედაქალაქს ესტუმრნენ შუახევის რაიონის მშრომელები. მათ გულითადი შესვლდრა მოუწყეს თბილისელებმა.

შუახევლებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ისტორიული ადგილები, ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, სალამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დესწრნენ ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

ᲒᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚ-ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ მატარებელი ბათუმიდან გადმოვედით თუ არა, სადგურის დიქტორმა გამოაცხადა — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, შუახევის რაიონის მშრომელებო, დედაქალაქი ფართოდ გიღებთ კარებს, შრომის ადამიანებო! დედაქალაქში მართლაც ვგრძნობდით ნამდვილ სტუმართმოყვარეობას. დიდი ინტერესით დავთვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ახალი უბნები, მეტრო და სხვ. გმადლობთ, თბილისელებო, ასეთი გულკეთილი შეხვედრისთვის.

გვახარებს ჩვენი დიდი თბილისის, მისი მშრომელების წარმატებანი. არც ჩვენ ჩამოვსულვართ ხელცარიელნი. რაიონში 48 კოლმეურნეობაა. მეურნეობის ძირითადი დარგებია მეთამბაქოობა, მეცხოველეობა, მევენახეობა და მეხილეობა. წამყვანი კი მაინც მეთამბაქოობაა. გასულ წელს რაიონის სოფლის მშრომელებმა წარმატებას მიაღწიეს, გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. პირველ ადგილზე ოლადაურელი მეთამბაქოელები არიან. ამას წინათ მათ მუდმივ მფლობელობაში დარჩათ საქართველოს კა ჰარის სოლქო კომბიტატის და ა ჰარის ახსრ მინასტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. რაიონში ბევრი სახელგანოქმული კოლმეურნე გვყავს.

ხაიუბლეთი წელს გადიდებული ვალდებულებები ვიკისრეთ. სამშობლოს მივეცეთ 6.800 ცენტნერ თამბაქოს, 10.800 ცენტნერ რძეს; გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით დავამზადებთ ყურძენს, ხილს და სხვა პროდუქტებს. ვალდებულებათა განაღდებისათვის შრომა წარმატებით მიმდინარეობს, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტალის გეგმები ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულდა. 22.600 კვადრატული მეტრის ნაცვლად თამბაქო კვალსათბურებში 34.300 კვადრატულ მეტრზე დათესეს.

ჩვენი სოფლები წინათ ჩამორჩენილი იყო. ახლა ყველგან კულტურულად ცხოვრობენ მშრომელები. 12 საშუალო, 25 რვაწლიან და 50 დაწყებით სკოლაში რაიონის მშრომელთა 5.500 ბავშვი ეუფლება ცოდნას. 4 კულტურის სახლი, 23 კლუბი, 27 ბიბლიოთეკა ემსახურება რაიონის სოფლის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების საქმეს.

ახალ ხუთწლედში უფრო დამშვენდება ჩვენი სოფლები, რაიონის ცენტრი, გაუმჯობესდება მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

Ა. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ,

შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: შუახევის რაიონის-მშრომელები თბილისში.

ფოტო გ. ტურაბელიძისა.

ᲨᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით დაიწესა გზათა სამინისტრომ 1 ოქტომბრიდან 15 მაისის ჩათვლით ჩვენი ქვეყნის რკინიგზებზე მოგზაურობისათვის.

შეღავათებს მიიღებენ პირები, რომლებიც დაინვალიდდნენ ჭრილობის, კონტუზიისა თუ დასახიჩრების შედეგად, რაც მოუვიდა სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურისა და სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისტემის ჯარებსა და ორგანოებში სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს. ასეთივე შეღავათი ეძლევათ ავრეთვე პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის ინვალიდებს.

შეღავათიანი ბილეთები ეძლევათ მგზავრებს, თუ სალარაში წარადგენენ შტამპიან სამენიო მოწმობას, რითაც უფლება ეძლევათ აიღონ შეღავათიანი ბილეთი.

(ხაკდსის კორ.).

ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

ᲟᲘᲣᲠᲘᲜᲘ შეეკამა შედეგები სახალხო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალისა, რომელიც 14 მარტიდან 4 აპრილამდე მიმდინარეობდა თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

როგორ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იცით, ეიურომ ფესტივალში გამარჯვებულად ცნო და პირველი ხარისხის დიპლომები მიანიჭა ცხაკაიას, ბოლნისის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ლავოდეხის სახალხო თეატრების სპექტაკლებს. თავის საბოლოო სხდომაზე ეიურომ დამატებით პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა აგრეთვე ტყიბულის სახალხო თეატრის სპექტაკლის — ა. შენგელაიას ჰეროიკული დრამა „ციმბირელ პაპას“. სპექტაკლის დამდგმელია შ. გაწერელია. პირველი ხარისხის დიპლომები მიიღეს სპექტაკლის მხატვარმა ი. ასკურავამ, მუსიკალური გაფორმების ავტორმა მ. ხატელიშვილმა და მსახიობებმა ე. ჭლიკაძემ და ც. ბერიძემ.

ქ. ცხაკაიას, ბოლნისის და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრებს რეკომენდაცია მიეცათ საბჭოთა კავშირის სახალხო თეატრების ფესტივალში მონაწილეობისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

ფესტივალის პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოებული არიან ცხაკაიელთა სპექტაკლის „ტეხურის პირას“ ავტორები კ. კალანდაძე (რეჟისორი), ფ. ბარქაია (მხატვარი), შ. მილორავა (კომპოზიტორი), სპექტაკლ „კიკვიძის“ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) რეჟისორი კ. მეიფანაძე, ბორჯომის სახალხო თეატრის რეჟისორი გ. ხმალაძე, საგარეჯოს სახალხო თეატრის მხატვარი ო. ხუროშვილი, რამდენიმე სპექტაკლის მუსიკალური გაფორმების ავტორი კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი, სახალხო თეატრების მსახიობები შ. შარვაძე, ვ. ერემაძე, ლ. ჯალაღონია, გ. ჯავახია, ფ. დამენია (ცხაკაია), ვ. მიხეილიძე, ვ. კავთელაძე, ვ. შეყილაძე, მ. გაბიძაშვილი (ბოლნისი), ა. ჯვარელი, ტ. ზარიშვილი, ლ. ჭარბაძე, გ. თავბერიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. ჭელაშვილი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), მ. თანდაშვილი, ე. ზორიანცი, ვ. თანდაშვილი (ლაგოდეხი), პ. ნოხაძე (ბორჯომი), კ. მახარაშვილი (სიღნაღი), ელ. ბეჟუაშვილი, ლ. თავაძე (ზესტაფონი), მ. ჯაფარიძე (ონი), ალ. ერქვანიძე, შ. ყუფარაძე (სამტრედია), თ. მახარაძე (ჩოხატაური), ი. ბარბაქაძე, ტ. ბუღაძე, ს. გურეშიძე (ხაშური), მ. მესხი (ველისციხე), ნ. ჟამუტაშვილი (ყვარელი), აგრეთვე დრამატურგები ა. შენგელია, თ. ფირაძე და მ. ხუნწარია, რომლებმაც შექმნეს ახალი პიესები სახალხო თეატრებისათვის სპეციალურად ფესტივალზე საჩვენებლად.

შემომქმედებითი წარმატებებისათვის მსახიობები ა. ჯვარელი, კ. მახარაშვილი, თ. მახარაძე, ვ. მიხეილიძე შემოქმედებითი მივლინებით გაიგზავნებიან მოსკოვში სახალხო თეატრების დასკვნითის ფესტივალზე.

მეორე ხარისხის დიპლომები. მიენიჭათ ბორჯომის, ცაგერის, სიღნაღის, ყვარლის, ზესტაფონის, სამტრედიის, ტყვარჩელის, ჩოხატაურის, საგარეჯოს, ხაშურის თეატრების, სახელმწიფო ეპრობის მუშაკთა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის რუსული სახალხო თეატრისა და სამტრედიის რკინიგზელთა სახალხო თეატრის სპექტაკლებს.

მესამე ხარისხის დიპლომები მიენიჭათ ონის, ლანჩხუთის, ხულოს, მცხეთისა და ველისციხის სახალხო თეატრების სპექტაკლებს.

ეიურომ იმუმადგომლა საქართველოს პროფკავშირთა წინაშე, რომ სახალხო თეატრის წოდება მიენიჭოს კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლის რუსულ დრამატულ კოლექტივსა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის [illegible] ანსამბლის [illegible] ფესტივალის მონაწილეთა დიდი ჯგუფი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: სცენა ტყიბულის სახალხო თეატრის სპექტაკლიდან „ციმბირელი პაპა“. წინა პლანზე ნესტორ კალანდარიშვილი — ელ. ჭლიკაძე (მარჯვნივ) და კატია — ც. ბერიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲐ

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ თბილისში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მთავარ მსაჯს ლ. ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲡ ვკითხეთ: „ვინ ითამაშებს მოსკოვში, 18 გროსმაისტერის ტურნირში საბჭოთა კავშირიდან?“ პასუხი ასეთი იყო: „მხოლოდ უძლიერესნი უძლიერესნი შორის!“. ახლა კი რამდენიმე ზოგად განმარტებას კონკრეტული დონისძიებაც მოჰყვა: საკავშირო საჭადრაკო ფედერაციამ წინადადება მისცა ᲛᲐ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲡ, ᲒᲐ. ᲡᲐᲑᲐᲢᲘᲜᲡ, Მ. ᲗᲐᲚᲡ, Მ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ, Გ. ᲙᲔᲠᲘᲡᲡ, Ვ. ᲡᲛᲘᲚᲝᲕᲡᲐ და Ე. ᲒᲔᲚᲤᲐᲜᲓᲘᲡ ჩამოვიდნენ მოსკოვის ასპარეზობაში. სამი წამყვანი საბჭოთა გროსმაისტერი ლ. ᲨᲐᲤᲘᲜᲘ, Ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ და მ. ᲗᲐᲘᲜᲐᲜᲝᲕᲘ კი ლენინგრადში ითამაშებენ.

56 წლის მ. ბოტვინიკი მოსკოვის გროსმაისტერთა პაექრობის უხუცესი მონაწილე იქნება. როდესაც მოჭადრაკე 50 წელს გადააბიჯებს, დღითიდღე მოხალოდნელია მისი „გადადგომა“. უკვე არაერთხელ აღნიშნულა, რომ ჭადრაკი საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა“. გავიხსენოთ, რა ახაკში მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა ნ. ᲒᲐᲨᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲛ და მ. ᲗᲐᲚᲛᲐ და როდესაც ხანდაზმული მოჭადრაკე უძლებს ახალგაზრდების შემოტევას, ეს თავისთავად მეტყველებს ვეტერანის განსაკუთრებულ სპორტულ ღირსებებზე. სწორედ ასეთი ვეტერანია მ. ბოტვინიკი. მხედველობაში გვაქვს არა მარტო რამდენადმე ადრინდელი ამბები (მსოფლიოს ჩემპიონობის ორგზის დაბრუნება, რაც თავისთავად უპრეცედენტო ამბავია), არამედ მ. ბოტვინიკის ახლანდელი თამაშიც. მსოფლიოს ექს-ჩემპიონზე მიმომბილველებს არაერთხელ „ჩაუქნევიათ ხელი“, მაგრამ ყოველთვის შემცდარან. ვინ მოელოდა, რომ ვ. სმისლოვთან ხასტიკი მარცხის შემდეგ ერთი წელიც არ გავიდოდა და მ. ბოტვინიკი ისევ დაიხურავდა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინს. გავიდა რამდენიმე ხანიც და იგივე გამეორდა მ. ტალთან. ახლა, რა თქმა უნდა მ. ბოტვინიკი, რეალურად აფასებს რა ჭადრაკის ხამყარობა შექმნილ ვითარებას, ალარ იღებს მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობაში. ამასთან ერთად, მისი სატურნირო გაბოსვლების შედეგად ცხადი ხდება, რომ ბოტვინიკი ბოტვინიკად რჩება! ეს ᲔᲛᲗᲐᲠᲘᲗᲐᲓ დიდი საოცრებაა. ჭადრაკის ისტორიას ახსოვს ერთადერთი ასეთი შემთხვევა — Ე. ᲚᲐᲡᲙᲔᲠᲘ 67 წლის ასაკში მოსკოვის დიდი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი გახდა. ახლა ეტყობა, მ. ბოტვინიკი აპირებს ლასკერის რეკორდი მოხსნას.

გასული წლის შემოდგომაზე მ. ბოტვინიკი ᲐᲠᲘᲠᲘᲡ ᲚᲐᲡᲙᲔᲠᲘᲡ რეკორდი მოხსნას.

გასული წლის შემოდგომაზე მ. ბოტვინიკი ᲐᲠᲘᲠᲘᲡ ᲚᲐᲡᲙᲔᲠᲘᲡ რეკორდი მოხსნას.

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ